განკარგულება:**g-37. 3723080001**
თარიღი:**21/03/2023**

განკარგულება N23

21 მარტი 2023 წელი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მომსახურების ცენტრი“-სთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ,,FIAT TIPO“-ს (სახელმწიფო ნომრით BB 706 YY, ღირებულება - 38472 ლარი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მომსახურების ცენტრი“-სთვის უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, გადაცემისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი